ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს დევნილის სტატუსის მქონე საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის თსუ-ს) მაგისტრატურის სტუდენტებისა (მესამე სამიზნე ჯგუფი) და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის ევროპის 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად (მაქსიმუმ 24 თვე)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.unibo.it/WEBB/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
ბაკალავრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ და აღების სავარაუდო თარიღი
ბაკალავრიატის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა უნდა გაიარონ რეგისტრაცია თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში და დაწერონ B2 დონის ინგლისური ან მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული სხვა (გერმანული, იტალიური და ა.შ) ენის B2 ტესტი. საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა კი უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმდინარე სემესტრში ჩაბარებული მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ) შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN, IT, DE, FR)
ერთი რეკომენდაციის წერილი	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)

პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)
ინფორმაცია საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტი ვადით სწავლის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	იხილეთ ნიმუში (დანართი 3)
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
იძულებით გადაადგილებულის/დევნილის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა	გაცემული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ბოლონიის უნივერსიტეტი, იტალია
2. კა-ფოსკარის უნივერსიტეტი, ვენეცია, იტალია
3. პავიას უნივერსიტეტი, იტალია
4. კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
5. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია
6. ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია
7. ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი
8. ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი
9. პოიტიერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
10. ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.unibo.it/WEBB/Destinations/default.htm
მობილობის პერიოდი: 2013/2014 – 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: მაქსიმუმ 24 თვე , სრული სამაგისტრო კურსი
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 15 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისა და ენის ტესტზე დასარეგისტრირებლად (თსუ-ს სტუდენტებმა) მიმართეთ

ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში

(აუცილებლად იქონიეთ თან ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, ქართულ ენაზე)

თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge